სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
29.05.2015 N 83
თბილისი

სტუ-ს სენატის შემადგენლობის გაზრდის მიზნით
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულებისა (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) და აკადემიური საბჭოს 2015 წლის 19 მაისის #1558 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის შექმნასთან დაკავშირებით წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) შემადგენლობის გაზრდის მიზნით დაინიშნოს სენატის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით ასარჩევ წევრთა არჩევნები 2015 წლის 18 ივნისს.
2. არჩევნები გამოცხადდეს აგრარული მეცნიერების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტიდან შემდეგი ვაკანტურ ადგილებზე:
- 3 ვაკანტური ადგილი აკადემიური პერსონალისთვის და 2 ვაკანტური ადგილი სტუდენტებისთვის;
3. სენატში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს - ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც იგი ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2015 წლის 11 ივნისისა, წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამომრჩეველთა შესაბამის სიაში რეგისტრაციის მიზნით.
4. სენატის წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრებს.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 5 ივნისს და დასრულდეს 2015 წლის 11 ივნისს.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

7. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

8. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

9. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ.მაისურაძე